№2481 2015 წლის 19 ნოემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის ზოგიერთ განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №1617 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოუყოს 1 344 870 (ერთი მილიონ სამას ორმოცდაოთხი ათას რვაას სამოცდაათი) ლარი, მათ შორის:

ა) 168 965 (ას სამოცდარვა ათას ცხრაას სამოცდახუთი) ლარი - სენაკის აკაკი ხორავას სახელობის დრამატული თეატრის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯების დასაფინანსებლად;

ბ) 200 000 (ორასი ათასი) ლარი - ქ. ზუგდიდში დადიანების სასახლეთა კომპლექსში ნიკო დადიანის სასახლის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯების დასაფინანსებლად;

გ) 178 148 (ას სამოცდათვრამეტი ათას ას ორმოცდარვა) ლარი - სოფელ დიდ ჯიხაიშში ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯების დასაფინანსებლად;

დ) 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი - აწყურის ღვთისმშობლის ტაძრის რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-კვლევითი სამუშაოების ხარჯების დასაფინანსებლად;

ე) 118 078 (ას თვრამეტი ათას სამოცდათვრამეტი) ლარი - თიანეთის მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის სრული რეაბილიტაციის ხარჯების დასაფინანსებლად;

ვ) 100 000 (ასი ათასი) ლარი - ასპინძის მუნიციპალიტეტში შორეთის XIV-XV საუკუნეების სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯების დასაფინანსებლად;

ზ) 110 000 (ას ათი ათასი) ლარი - კვიპროსში ღალიის მონასტრის ტერიტორიაზე ღალიის სამონასტრო კომპლექსის ფიქსაციის, ინვენტარიზაციისა და პოპულარიზაციის ხარჯების დასაფინანსებლად;

თ) 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარი - თისელის XIV-XV საუკუნეების გუმბათიანი ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯების დასაფინანსებლად;

ი) 60 000 (სამოცი ათასი) ლარი - საფარის მთავარი ტაძრისა და სამრეკლოს სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯების დასაფინანსებლად;

კ) 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი - გელათის აკადემიის შენობის მიმდებარედ აღმოჩენილი არქეოლოგიური ობიექტების დროებითი

გადახურვის მოსაწყობად საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და გენერალური გეგმის კორექტირების ხარჯების დასაფინანსებლად;

ლ) 49 679 (ორმოცდაცხრა ათას ექვსას სამოცდაცხრამეტი) ლარი - სოფელ ნაბახტევის XV საუკუნის ღვთისმშობლის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯების დასაფინანსებლად;

მ) 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი - ატენის სიონის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯების დასაფინანსებლად;

ნ) 40 000 (ორმოცი ათასი) ლარი - ქ. თბილისში მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯების დასაფინანსებლად.“.

2. „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 მარტის №595 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გამოუყოს 2 805 130 (ორი მილიონ რვაას ხუთი ათას ას ოცდაათი) ლარი, მათ შორის:

ა) 1 200 000 (ერთი მილიონ ორასი ათასი) ლარი - ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის კვლევით და სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

ბ) 698 500 (ექვსას ოთხმოცდათვრამეტი ათას ხუთასი) ლარი - მუცოს ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

გ) 350 000 (სამას ორმოცდაათი ათასი) ლარი - ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსის სარეაბილიტაციო

სამუშაოების პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

დ) 328 930 (სამას ოცდარვა ათას ცხრაას ოცდაათი) ლარი - „გრაკლიანი გორის“ არქეოლოგიური მუზეუმის მოწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად;

ე) 227 700 (ორას ოცდაშვიდი ათას შვიდასი) ლარი - ჩაჟაშის ორი საცხოვრებელი სახლის, ერთი კოშკის და ერთი მაჩუბის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.“.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**